

შპს „დორანი“

2018 წლის
ფინანსური ანგარიშგება

შპს დორანი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის

31/12/18

31/12/17

GEL

აქტივები

მოკლევადიანი აქტივები

ფული და ფულის ეკვივალენტები	97,664	1,079
სავაჭრო მოთხოვნები	114,812	137,142
ანგარიშსწ.ანგარიშვ.პირებთან	50,000	50,000
ნედლეული და მასალები		
სხვა მოკლევადიანი აქტივები	317	8,774
სულ მოკლევადიანი აქტივები	262,793	196,995

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები	683,053	661,676
მიწის ნაკვეთები	126,987	206,937
ბიოლოგიური აქტივები	1,607,340	1,446,606
მონაწილეობა სხვა საზ.-ში	7,000	7,000
სულ გრძელვადიანი აქტივები	2,424,380	2,322,219

სულ აქტივები

2,687,173

2,519,214

კაპიტალი და

ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	13,886	9,964
საგადასახადო ვალდებულებები	6,508	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	20,394	9,964

საკუთარი კაპიტალი

კაპიტალი	4,032,026	3,842,059
ბიოაქტივების გადაფასების რეზერვი	1,607,340	1,446,606
გასული წლ. მოგება/ზარალი	(2,779,415)	(2,779,415)
მიმდ. წლ. მოგება/ზარალი	(193,172)	
სულ საკუთარი კაპიტალი	2,666,779	2,509,250

სულ კაპიტალი და

ვალდებულებები

2,687,173

2,519,214

შპს დორანი

2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	2018 GEL
ამონაგები	284,740
საქონლის გაყიდვიდან	284,740
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(52,138)
საწყისი მარაგები	
მარაგების შესყიდვა	(52,138)
საბოლოო მარაგები	
საერთო მოგება	232,602
დასაქმებულთა ანაზღაურება	(231,949)
ცვეთა და ამორტიზაცია	(97,143)
იჯარის ხარჯი	(212)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(92,449)
სულ საოპერაციო ხარჯები	(421,753)
საოპერაციო ზარალი	(189,151)
წმინდა დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	(4,021)
ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან	(193,172)
ზარალი	(193,172)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ბიოლოგიური აქტივის გადაფასების რეზერვი	160,734
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	(32,438)
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	2,509,250
კაპიტალის გაზრდა	189,967
პერიოდის მოგება/(ზარალი)	(32,438)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2,666,779

შპს დორანი

2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი სახსრების მოძრაობის
ანგარიშგება

	2018 GEL
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	100,606
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა	100,606
სავალუტო კურსის ეფექტი	(4,021)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,079
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	97,664

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დორანი“ დაარსებულია 2004 წელს. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ახმეტის მუნიციპალიტეტი. მისი ძირითადი საქმიანობაა თხილის მოყვანა და რეალიზაცია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში, ლარში (GEL).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, არაწრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები: შენობა-ნაგებობები 5 პროცენტი, მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა 20 პროცენტი.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი მოვიდა - პირველი გავიდა“ (FIFO) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

3. განმარტებითი შენიშვნები

ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები

მუხლში „ფული და ფულის ეკვივალენტები“ აგრეგირებულია ნაღდი ფული სალაროში და ფული საბანკო ანგარიშებზე, შემდეგი მნიშვნელობებით:

	31/12/18	01/01/18
ნაღდი ფული სალაროში	119	57
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	539	1,020
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	97,005	\$36,242
	110,322	1,079

მუხლის „ანგარიშსწორება ანგარიშვალდებულ პირებთან“ მნიშვნელობა - 50,000 ლარი შეესაბამება წინა პერიოდში თანამშრომელზე თხილის შესაძენად გაცემულ საქვეანგარიშო თანხას. პერიოდის ბოლოსათვის თხილი არ შეძენილა და არც თანხაა დაბრუნებული.

მუხლი „ძირითადი საშუალებები“ ასახავს შენობა-ნაგებობების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სამელიორაციო მოწყობილობების, საოფისე ავეჯის ნაჩენ ღირებულებას.

მუხლი „მიწის ნაკვეთები“

პერიოდის დასაწყისისთვის კომპანიის საკუთრებაში იყო 10,659 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ქ. ახმეტაში, რომელზედაც განთავსებულია კომპანიის ოფისი და საწარმოო შენობა-ნაგებობები და 154 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები ახმეტის მუნიციპალიტეტში (ქ. ახმეტა, ს. მატანი, ს. ქორეთი), რომელთა ნაწილზე (86 ჰა) გაშენებულია თხილის ნარგავები, ნაწილი კი გამოიყენება სათიბად. პერიოდის განმავლობაში გასხვისებულია სათიბი ნაკვეთების ნაწილი (20 ჰა).

მუხლი „ბიოლოგიური აქტივები“

კომპანიას 86 ჰა-ზე გაშენებული აქვს თხილის ნარგავები. ნარგავების საშუალო ასაკი არის 8 წელიწადი. მუხლის მნიშვნელობა მიღებულია აქტივის რეალური ღირებულების აღრიცხვის მოდელით.

ბ) სრული შემოსავლისა და კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

მუხლის „ამონაგები“ მნიშვნელობა, 284,740 ლარი, მოიცავს 2018 წ.

რეალიზებული პროდუქციის ღირებულებას:

	რაოდენობა	ღირებულება
თხილი გაუტეხავი	53 ტონა	283,200
თივა დაპრესილი	1190 ცალი	1,540
		284,740

მუხლის „ბიოლოგიური აქტივების გადაფასების რეზერვი“ მნიშვნელობა შეესაბამება თხილის ნარგავების ნაწილის სრული მსხმოიარობის ასაკში შესვლის გამო ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულების ზრდას.